<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 10.01.2005, მუხ. 4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე–2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ჰ^{44}'' და ,,ჰ^{45}'' ქვეპუნქტები:

,,ჰ^{44}) თავისუფალი მსმენელი – სტუდენტის სტატუსის მქონე პირი, ასევე პირი, რომელსაც შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტსტუსი და რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმებით და დადგენილი წესით, შესაბამისი სწავლის საფასურის სანაცვლოდ, საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) მიხედვით, გადის მისთვის სასურველ სასწავლო კურსს/მოდულს.''

,,ჰ^{45}) სასერთიფიკაციო კურსის სტუდენტი – პირი, რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, სტუდენტის სტატუსის მქონე პირი ან პირი, რომელსაც შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტსტუსი და რომელიც პროფესიულიგანათლების მიღების მიზნით, გადის მოკლევადიან სასწავლო კურსს, შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.''

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 50 ^{1} მუხლი:

,,მუხლი 50^{1}. თავისუფალი მსმენელისა და სასერთიფიკაციო კურსის სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარება.

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში თავისუფალი მსმენელის მიერ მიღებული კრედიტები, ამ კანონით დადგენილი წესით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საფეხურზე ჩარიცხვის შემდეგ ჩაითვლება გასავლელი აკადემიური პროგრამის უკვე დაძლეულ ნაწილად, თუ კრედიტები მიღებულია იგივე წესით, როგორც მას იღებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საფეხურის სტუდენტები და გავლილი კურსები შეესაბამება ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პროგრამას.
2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასერტიფიკაციო კურსის სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტები, ამ კანონით დადგენილი წესით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საფეხურზე ჩარიცხვის შემდეგ ჩაითვლება გასავლელი აკადემიური პროგრამის უკვე დაძლეულ ნაწილად, თუ სასერტიფიკაციო კურსის გავლის დროს პირს ჰქონდა სტუდენტის ან შეჩერებული/შეწყვეტილი სტუდენტის სტატუსი, კურსი გაიარა იგივე წესით, როგორც მას იღებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

აკადემიური საფეხურის სტუდენტები და გავლილი კურსები შეესაბამება ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პროგრამას.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია სცნოს თავისუფალი მსმენელის ან სასერტიფიკაციო კურსის სტუდენტის მიერ მიღებული არაუმეტეს 60 კრედიტისა.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია არ სცნოს ამ კანონით დადგენილი წესით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვამდე თავისუფალი მსმენელის ან სასერტიფიკაციო კურსის სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტები, თუ მის მიერ დაძლეული სასწავლო პროგრამა არ შეესაბამება ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ პროგრამას.“

3. 52–ე მუხლის მე–6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. ავტორიზაციის შედეგად დადგენილი სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიძლება განსაზღვროს ადგილები 50^1–ემუხლის პირველიდა მეორე პუნქტებითა და ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის.''

4. 52^1 – ე მუხლის მე–9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. ავტორიზაციის შედეგად დადგენილი სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიძლება განსაზღვროს ადგილები 50^1–ემუხლის პირველი და მეორეპუნქტებითა და ამ მუხლის მე–7 და მე–7^1 პუნქტებით გათვალისწინებული პირებისთვის.''

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი